



საქართველო GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE

№ 1211856
„აღ“ 12 2008წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს, ბატონ ირაკლი გვიიაშვილს

ბატონო ირაკლი,

წარმოგიდგენთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მენიშენებსა და წინადადებებს „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საიღუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის პირველ მუხლში „საიღუმლო ხელშეკრულებისა“ და „მიწოდებელი მხარის“ განსაზღვრებები ჩამოყალიბდეს შემდგომი რედაქციით:

„საიღუმლო ხელშეკრულება“: ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს და/ან შეეხება საიღუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას.

„მიწოდებელი მხარე“: მხარე, მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, რომელიც აწვდის საიღუმლო გრიფის მქონე ინფორმაციას მეორე მხარეს.“

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტი პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ შეთანხმების შესაბამისად მიწოდებულ საიღუმლო გრიფის მქონე ინფორმაციას უნდა მიენიჭოს მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისი საიღუმლოობის ხარისხი.

2. საიღუმლოობის ხარისხის ეკვივალენტურობა არის შემდეგი:“

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საიღუმლო გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვაზე, ასევე ამ შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეთა კომპეტენტური ორგანოები არიან:“

4. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ყველა რეპროდუქციას ან ასლს უნდა მიენიჭოს იგივე საიდუმლოების ხარისხი და იყოს ისევე დაცული, როგორც ორიგინალი. რეპროდუქციებისა და ასლების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს იმ მიზნებისათვის, რა მიზნითაც მოხდა ინფორმაციის გადაცემა მიმწოდებელი მხარის მიერ.“

5. მიზანშეწონილად მოგვაჩნია მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 9
ვიზიტები

1. თუ სხვანაირად არ არის შეთანხმებული კომპეტენტური ორგანოების მიერ, ვიზიტები, რომელთა დროსაც საჭიროა საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციაზე დაშვება, ექვემდებარება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინასწარ თანხმობას.

2. ვიზიტზე მოთხოვნა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს უნდა წარედგინოს ვიზიტის დაწყებამდე 30 დღით ადრე და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) წარდგენილი ვიზიტორის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, მოქალაქეობა და პასპორტის/პირადობის მოწმობის ნომერი;
- ბ) ვიზიტორის ოფიციალური სტატუსი იმ ორგანოს მითითებით, რომელსაც ის წარმოადგენს;
- გ) ვიზიტორის საიდუმლოებასთან დაშვების დონე და მისი ძალაში ყოფნის პერიოდი;
- დ) დასახელება, მისამართი ტელეფონი/ფაქსი, ელ. ფოსტის მისამართი და იმ დაწესებულების საკონტაქტო პირის სახელი, რომელშიც იგეგმება ვიზიტი;
- ე) ვიზიტის მიზანი ყველაზე მაღალი დონის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის მითითებით, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული;
- ვ) ვიზიტის თარიღი. მრავალჯერადი ვიზიტის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს მთლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება ვიზიტები;
- ზ) კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და/ან თანამდებობის პირის ხელმოწერა.

3. კომპეტენტური ორგანოები შეიძლება შეთანხმდნენ იმ ვიზიტორთა სიაზე, რომლებიც განახორციელებენ მრავალჯერად ვიზიტებს. სია ძალაშია საწყისი პერიოდისათვის არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვისა. მრავალჯერადი ვიზიტების შესახებ მოთხოვნა გადაიცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. როდესაც დამტკიცდება სია, მასში შემავალ პირთა ვიზიტებთან დაკავშირებული შეთანხმებები შესაძლებელია მოხდეს პირდაპირ იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი.

4. ვიზიტორის მიერ მიღებული ნებისმიერი სახის საიდუმლო ინფორმაცია განხილული უნდა იქნეს, როგორც ამ შეთანხმების შესაბამისად გაცემული საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაცია.

6. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უსაფრთხოების ზომების დარღვევის შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოიხატოს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაკარგვაში, მითვისებასა და უკანონო გამჟღავნებაში, ან ასეთი დარღვევების შესახებ ვჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანო წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.“


7. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე-14 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14
დავები“

8. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს შეთანხმება იღება განუსაზღვრელი ვადით. იგი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების პირველივე დღეს.“

პაგივისცემით,


ქართლოს ყორანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და
ევროატლანტიკური ინტეგრაციის
დეპარტამენტის უფროსის მ.შ.



იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 01/23/03-8646

10.10.2007წ

საქართველოს თავდაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ვერა ძნელაძეს

ქალბატონო ვერა,

თქვენი მიმდინარე წლის 13 სექტემბრის №3/162 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების“ პროექტი და გაცნობებთ:

1. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინის „RESTRICTED“ ქართული შესატყვისი ატის ტერმინი „შეზღუდული სარგებლობისათვის“ – „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მიმღები მხარე გადასცემს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას მესამე მხარეს, მიმწოდებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.“ აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მიმწოდებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. ვინაიდან, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის ან სხვა გზით გავრცელების შეზღუდვა.

3. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტში ტერმინი „საიდუმლოებაზე დაშვების სერტიფიკატი“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისთვის, თუმცა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულია „სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება“.

4. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს
საქმიანობის მართვის ცენტრი
ბ.წ. № 3-4580
ს.წ. 17
10 2007წ.



საქართველო

საგარეო საგანგებო
სამინისტრო

№ 610/19

ქ. ... 200 7

დასკვნა

„საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საილუმლო ინფორმაციის
გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების“ პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის
საილუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების“
პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1-ელი მუხლის 1-ელ აბზაცში, ფრაზა: „მხარის კანონმდებლობის“
ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მხარის სახელმწიფოში მოქმედი
კანონმდებლობის“.

მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, და შემდგომ მთელს ტექსტში, ფრაზა: „შიდა
კანონმდებლობით“, შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: „მხარეთა
შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით“.

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდის როგორც მე-6 მუხლის
შინაარსთან, ასევე ზოგადად მთელს შეთანხმებასთან.

მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში, ფრაზა: „შიდასახელმწიფოებრივი
კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად“, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად“.

მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში, ფრაზა: „შიდა კანონმდებლობისა და
მარეგულირებელი ნორმების“, შეიცვალოს შემდეგნაირად:
„შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის“.

მართებულია, მე-14 მუხლში, ფრაზა: „კონსულტაციების გზით“, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მოლაპარაკებებისა და/ან კონსულტაციების გზით“.

მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „წინამდებარე შეთანხმება იღება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანანსკნელად წერილობითი შეგყობინების მიღების დღიდან“.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ცალკე მუხლად და გადმოგანილ იქნეს მე-15 მუხლის წინ, შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე შეთანხმებაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეგანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკე ოქმების სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორც წესითაც ეს შეთანხმება შედის ძალაში. აღნიშნული სახით მიღებული ოქმები წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს“. შესაბამისად, მუხლების ნუმერაცია შეიცვლება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დასკვნითი დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „შესრულებულია 200- წლის -- -----, ქ-----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, ჩეხურ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა გექსტი თანაბრად აუთენტიკურია. მხარეთა მიერ, წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გექსტს ინგლისურ ენაზე“.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.


კახაბერ ჩიქოვანი
მინისტრის მოადგილე



№ 07-04/10358

გ " 10 2007

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ვერა ძნელაძეს

ქალბატონო ვერა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის
13 სექტემბრის №3/161 წერილი, რომელიც ეხება "საქართველოსა და
ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საიღუმლო ინფორმაციის გაცვლისა და
ორმხრივად დაცვის შესახებ" შეთანხმების პროექტს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
წარმოდგენილი პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ
გააჩნია. ამასთან, პროექტით გათვალისწინებული საქართველოს მხარის მიერ
გასაწევი ხარჯების დაფინანსება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ
უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ
ასიგნებათა ფარგლებში.

პატივისცემით,

ლემონტი გვინიძე
მინისტრის მოადგილე

3.4347

10

10

2



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
 საქმის რეგისტრაციის განყოფილება
 დოკ. № 3-4827
 შ.რ. 2
 "6" 11 2007წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 6/7/9-4345

"6" 11 2007წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს
 ქალბატონ ვერა ძნელაძეს

ქალბატონო ვერა,

თქვენი მიმდინარე წლის 13 სექტემბრის №3/163 წერილის პასუხად, რომელიც „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტს ეხება. გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეროვნული საიდუმლოების ხარისხის კვლავალენტურობა არის შემდეგი:

ჩეხეთის რესპუბლიკა	საქართველო	ტერმინი ინგლისურ ენაზე
PRISNE TAJNE	განსაკუთრებული მნიშვნელობის	TOP SECRET
TAJNE	სრულად საიდუმლო	SECRET
DŮVĚRNÉ	საიდუმლო	CONFIDENTIAL
VYHRAZENÉ	შეზღუდული სარგებლობისთვის	RESTRICTED

2. პროექტიდან ამოღებულ იქნას მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები;

3. პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიმღები მხარე არ გადასცემს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას მესამე მხარეს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის შესაბამისი წესით დაცვის შესახებ გარანტიის მიღებისა და მიმწოდებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“;

4. პროექტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასლების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს იმ მიზნისათვის, რა მიზნითაც მოხდა ინფორმაციის გადაცემა მიმწოდებელი მხარის მიერ“.

პატივისცემით,

ეკატერინე ზღულაძე
მინისტრის მოადგილე

ე. ზღულაძე

1
2

1